# ცნობის ფურცელი

V წ. ყოველდღიური გამოცემა კვირა-უქმეების შემდეგაც.— სამშაბათი, 7 მარტი 1900 წ. № 1064.

**გაზეთი ღირს:** წლიწადში—6 მან., თვეში—75 კაპ., ცალკე ნომერი—3 კაპ. ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე—10 კ. მეოთხეზე—5 კ. ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბის“ და „ცნობის ფურცლის“ რედაქციაში ვანქის ქ., № 27, წერა-კითხვის გამავრც. საზოგ. კანცელარიაში და წიგ. გამომც. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქვაშვეთის ეკკლესიის პირდაპირ).

**რედაქცია** იმყოფება ვანქის დიდ ქუჩაზე, მარტიროსოვის სახლი № 27.—ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირისპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე კვირა-უქმეების გარდა 11 საათიდან 1-ლ საათამდე. (შუადღითა).

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели“—„Моамбе“.

ტელეფონი № 372.



## „მ ო ა მ ბ ე“ 1900 წ. „ცნობის ფურცელი“

| (წელიწადი მეშვიდე) | (წელიწადი მეხუთე) |
|---|---|
| **გამოვა ყოველ თვის პირველ რიცხვებში.** | **გამოვა ყოველ დღე კვირა უქმეების შემდეგაც.** |
| ფასი ჟურნალისა გაგზავნით: | გაზეთის ფასი გაგზავნით: |
| 1 წლით 6 თვით 3 თვით | 1 წლით 6 თვით 3 თვით 1 თვით |
| 10 მანეთი 6 მან. 4 მან. | 6 მანეთი 3 მ. 50 კ. 2 მანეთი 75 კაპ |
| სამზღვარ გარედ წლიურად 13 მან. | სამზღვარ გარედ წლიურად 7 მანეთი. |

**წლიური ფასის შემოტანა შეიძლება განაწილდეს:**

| | |
|---|---|
| პირველად 5 მან., 1-ლ აპრილამდე 3 მ. და 1-ლ სექტემბრამდე 2 მ. | პირველად 3 მან., 1-ლ აპრილამდე 2 მ. და 1-ლ სექტემბრამდე 1 მ. |

**ვინც „მოამბე“-ს ერთისწლით გამოიწერს, „ცნობის ფურცელი“ უფასოდ დაეთმობა გამოწერის დღიდან**

წლიური ფასი განაწილდება: 5 მან. პირველად, 1-ლ აპრილამდე 3 მან. და 1-ლ ოქტომბრამდე 2 მანეთი

| | |
|---|---|
| ჟურნალში ყოველ თვე დაიბეჭდება, სხვათა შორის, შინაური და უცხოეთის მიმოხილვა. | გაზეთში იმავე დღესვე დაიბეჭდება დეპეშები, ქრონიკა (ახალი ამბავი) და სხვ. |

განცხადების ფასი: პირველ გვერდზე სტრიქონი 10 კ. მეოთხეზე—5 კ.

თუ განცხადება 3-ჯერზე მეტი დაიბეჭდება, მაშინ დაბეჭდვა ნაკლები ეღირება.

ადრესი რედაქციისა: Тифлисъ, въ редакцію „Моамбэ“ и „Цнобисъ-Пурцели“.

## სახალხო სეირნობა

### საქველმოქმედო ბაზრითურთ

«ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების» სასარგებლოდ განზრახულია გაიმართოს მაისში. შემოწირულებათა წარმოგზავნა ამ ბაზრისათვის შეიძლება ქნ. ოლგა თადეოზის ასულს ჭავჭავაძესთან, ნიკოლოოზის ქუჩა, № 21. (ნ. 0—3)

წარსული წლების ჟურნალი „მოამბე“ გაიყიდება შემდეგ ფასებად: 1894 და 1895 წ. წ.—შვიდ-შვიდ მანეთად და 1896, 1897 და 1898 წ. წ.—ხუთ-ხუთ მანეთად. ხოლო 1899 წ. «მოამბე» 1900 წ. ხელის მომწერთათვის ეღირება ხუთი მანეთი.

ქალაქ გარეშე მცხოვრებთ თითო წლის ჟურნ. «მოამბის» ფოსტის ხარჯათ 60 კაპ. უნდა გამოგზავნონ. ჟურნ. „მოამბის“ ადრესი: Тифлисъ, въ редакцію журнала „Моамбе“.

ქართ. შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ა. ს. როინაშვილის მიერ ნაანდერძევი

## ფოტოგრაფია

გადატანილ იქმნა ერევნის მოედანზედ, ხარაზოვის სახლში. (ნ. 0—23)


## ახალი ამბავი

✦ თავის დროზე ჩვენ უკვე გვქონდა მოხსენებული, თუ რა და რა დადგენილება მოახდინა თელავში მომხდარ მევენახეთა კრებამ. ამ ჟამად ამ კრების ბიურომ შეუტანია განცხადება კავკასიის სამეურნეო საზოგადოებაში **კახეთის მეღვინეობის საჭიროებათა შესახებ.** იმ საჭიროებათა გარდა, რომელნიც უკვე იყო ჩამოთვლილი „ცნ. ფურცელში“, განცხადება უჩვენებს კიდევ შემდეგთ: ბიურო საჭიროდ სთვლის, რომ კახეთში მომატებულ იქმნას რიცხვი საწყობებისა, საიდანაც მევენახეთ შეეძლოთ შეძენა ვენახის სარჩენ წამლებისა და მაშინებისა; საჭიროდ სთვლის, რომ მევენახეთ დახმარება აღმოეჩინოს წამლების შეძენისთვის. ხოლო ამ საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად ბიურო საჭიროდ სთვლის, ეთხოვოს სამიწად-მოქმედო სამინისტროს საკმაო კრედიტი. რაც შეეხება იმ ზარალს, რომელიც ვენახისთვის მოაქვს სეტყვას, კრებამ საჭიროდ დაინახა სეტყვისაგან დამზღვევ საზოგადოების დაარსება და სთხოვს სამეურნეო საზოგადოებას მიიღოს ხელის მოწერა განზრახულ საზოგადოებაში წევრებად ჩაწერის მსურველთაგან.

✦ სამიწად-მოქმედო დეპარტამენტთან მოკლე ხანში დაარსებულ იქნება საგანგებო კომისია, რომელსაც დაევალება განხილვა კითხვისა **სამეურნეო განათლების** გავრცელებისათვის გადადებულ თანხის მომატების შესახებ. კომისიის თავჯდომარედ იქნება ხსენებულ დეპარტამენტის დირექტორი, წევრებად—ფინანსთა და სამიწად-მოქმედო სამინისტროს წარმომადგენელნი.

✦ დღეს ტფილისის საოლქო სასამართლო გამოაცხადებს რეზოლიუციას **ტფილისის სათავადაზნაურო ბანკისა და ბ. ასირბეგოვის** შუა ატეხილ დავის შესახებ.

✦ შაბათს, 4 მარტს, თავ. ზაქ. ერისთავმა ნოტარიუსის წესით გარდაცა ხაზინის რწმუნებულს **ოძისის მამული,** რომელიც როგორც იციან მკითხველებმა, თავ. ერისთავმა შესწირა ხაზინას საშუალო სამეურნეო სკოლის დასაარსებლად.

✦ შაბათს, 4 მარტს, მოხდა კავკასიის საბაღოსნო საზოგადოების წევრთა კრება, რომელზედაც განხილული იქმნა მოხსენება იმის შესახებ თუ რა და რა ზომები უნდა შემოიღოს მთავრობამ, რომ გააძლიეროს ამიერ კავკასიაში **ადგილობრივად აბრეშუმის გრენის დამზადება.** კრებამ ერთხმად დაადგინა იშუამდგომლოს შემდეგი: 1) განთავისუფლებულ იქმნას აბრეშუმის გრენის დასამზადებელი ქარხნები ყველა სახელმწიფო გარდასახადისაგან ათი წლის განმავლობაში; 2) სახელმწიფო ბანკებიდან მიეცეს ადგილობრივ გრენიორებს სესხი სოლო-ვექსილებით; 3) იმ გრენიორებს, რომელნიც განიზრახვენ გრენის დასამზადებელ ქარხნების გაშენებას სახელმწიფო მიწებზე დაეთმოთ მათ მიწები უფასოდ; 4) ყველა ის ნივთები, რაც საჭიროა გრენის დასამზადებელ ქარხნების მოსაწყობათ—მიკროსკოპები, „სტუპოჩკები“ (პატარა ქვიჯიკიები) შუბები და სხვა—დაეთმოთ გრენიორებს იმ ფასებში, რა ფასებშიაც საზღვარ-გარეთ ისყიდება და არავითარი ბაჟი არ გადახდეთ ამ ნივთების გამოწერის დროს.

✦ ტფილისის პოლიცმეისტრის თანამდებობის აღმასრულებელმა თავ. სიდომონოვ-ერისთავმა გაუგზავნა ქალაქის გამგეობას სია იმ ქუჩებისა, რომლებთა **ქვაფენილი** საძაგელ მდგომარეობაშია და საჭიროა დაუყოვნებლივ შეკეთება.

✦ გუბერნიის მმართველობამ გარდასწყვიტა გაგზავნოს **ექიმი** გორის მაზრაში სოფლების დასათვალიერებლად **სანიტარულ** მხრივ.

✦ პეტერბურგიდან ცნობა მოგვივიდა, რომ ფოთის ქალაქის თავი **ნ. ნიკოლაძე** ამ დღეებში მიდის საზღვარ-გარეთ ფოთის ნავთსადგურის საქმეებისა გამო.

✦ **ბაქოს საქალაქო საკრედიტო საზოგადოება** უკვე გაიხსნა და 1-ლ მარტიდან მოქმედება დაიწყო. 26 თებერვალს საზოგადოების დამაარსებელთ აურჩევიათ გამგეობაც: თავჯდომარედ ხ. ს. ანტონოვი, წევრებად—ა. გ. აივაზოვი და ბ. ხან-აგოვი.

✦ „ჩერნომ. ვესტნიკის“ სიტყვით, ახლად დაარსებულ „**გურიის სამთო და ნავთის მწარმოებელ უსახელო საზოგადოების**“ საქმე ვერ მიდის კარგად.

31 მარტს (ახ. სტილით) ქ. ანტვერპენში მოხდება ამ საზოგადოების აქციონერთა კრება, რომელმაც უნდა განიხილოს კითხვა ან „საზოგადოების“ საწარმოებელ თანხის გადიდებისა, ან „საზოგადოების“ მოსპობის შესახებ.

✦ ვლადიკავკავის რკინის გზას გაუკეთებია საგანგებო ვაგონები **ხილის გადასაზიდავად**. მომავალ ზაფხულში უნდა გასინჯონ ეს ვაგონები და საცდელად ნოვოროსსისკიდან მოსკოვში გაგზავნიან ყოველნაირ ხილს.

✦ საგანგებო კომისიას მოუმზადებია ჩერნომორის გუბერნიაში 6000 დესეტინა მიწა რუსეთის შიდა გუბერნიებიდან **გადმოსახლებულთათვის**. ეს მიწა უკვე დაუყვიათ ნაჭერ-ნაჭერ და წელს გაზაფხულზე დაურიგებენ გადმოსახლებულ გლეხთ.

✦ მთავრობას გარდაუწყვეტია მოიწვიოს პეტერბურგში 1902 წელს **რუსეთის ვეტერანართა კრება**.

✦ წინად ის **ტუსაღები**, რომელთაც მცხეთაზე უნდა გაევლოთ, ადგილობრივ მკვიდრთა სახლებში ბინავდებოდნენ. ეხლა, როგორც გავიგეთ, საგუბერნიო ადმინისტრაციას განკარგულება მოუხდენია, აშენებულ იქმნას განსაკუთრებულ შენობა. ამ შენობის გამართვა უკისრია ადგილობრივ მემამულეს ბ-ნ მრევლიშვილს. შენობა უკვე მზად არის.

✦ ამ მოკლე ხანში მცხეთის საზოგადოებამ უნდა აირჩიოს **მამასახლისი**, რადგანაც პირველი არჩევანი უკანონოთ იქმნა ჩათვლილი. კანდიდატათ ასახელებენ ალ. გედევანიშვილს.

✦ კავკასიის სამოსწავლო ოლქის ინსპექტორს, ბ-ნ ზავადსკის, რომელიც პეტერბურგშია კომისიის სხდომებზე შესახებ **საშუალო სასწავლებელთა პროგრამების შეცვლისა**, დაევალა სხდომების შემდეგ გაემგზავროს ჩრდილოეთ კავკასიაში სასწავლებლების სარევიზიოთ.

✦ სამიწად-მოქმედო სამინისტროს მოხელეებს აღმოუჩენიათ **ნავთის წყაროება** ყირგიზთა მინდორში, კასპიის ზღვის ჩრდილოეთ-აღმოსავლეთის ნაპირზე. ნავთი აღმოუჩენიათ რამდენიმე ათას დესეტინა მიწაში და გაცილებით უფრო ბევრი, ვიდრე ბაქოშია.

✦ სათანადო მთავრობას განუზრახავს შეამციროს **დეპეშების გასაგზავნი ფასი**.

✦ საიმპერატორო ეკონომიურ საზოგადოების კომიტეტმა მიჰმართა ქალაქის გამგეობას **ნავთიერ დახმარების აღმოჩენისათვის** იმ მასალის დასაბეჭდად და გამოსაცემად, რომელიც შეიცავს სრულ ცნობებს რუსეთის სწავლა-განათლების შესახებ.

✦ „ჩერნომ. ვესტნიკის“ სიტყვით, სათანადო მთავრობას ბრძანება გაუცია, რომ ყველა საქონელი, რომელიც რუსეთის ერთ ქალაქიდან მეორე ქალაქში იგზავნება წყლით, **უთუოდ რუსეთის გემით** იგზავნებოდესო.

✦ ამას წინად ჩვენ უკვე გვქონდა მოხსენებული მოკლედ ამბავი **საპასაჟირო მატარებლებით** მიმოსვლის გარდასახადის შემცირების შესახებ. ეხლა როგორც პეტერბურგის გაზეთები იუწყებიან, დაწვრილებითი ცნობები შემდეგია: ეს გარდასახადი შემოღებულ იქმნება ამ წლის პირველ აპრილიდან რუსეთის სახელმწიფო რკინის გზებზე 56 ქალაქის ახლო-მახლო ადგილებში მიმოსვლისათვის; მათ შორის ამიერ კავკასიის შემდეგი ქალაქებიც არიან მოხსენებული: ბათუმი, ბაქო, ქუთაისი და ტფილისი. აქამდის სახალხო მატარებლის მე-3 კლასით მიმოსვლისათვის 1 ვერსტზე ახდევინებდნენ 1 კაპ. და ეხლა 0,9 კაპ.; სრულიად მოსპობილი. სააბონიმენტო და იქეთ-აქეთი წასვლა-წამოსვლის ბილეთები. სამივე კლასის ბილეთები მიეცემა წლობით; ერთის სეზონით (4 თვით) და თვეობით (ერთის თვით). წლიური და სისეზონო ბილეთები მიეცემა მსურველთ ასე, რომ ეს ბილეთები მყიდველთა ფოტოგრაფიულ სურათებზედ იქმნება დაკრული სახელისა და გვარის ზედ წარწერით, რომ პატრონებს არ შეეძლოთ სხვას გადასცენ ბილეთები.

5) ხშირად ზოგიერთი გრენიორები ატყუილებენ მეაბრეშუმეებს იმით, რომ 6—7 მისხალ-გრენის მაგივრად—4 ან 5 მისხალს ჰყრიან კოლოფში. ამ ბოროტმოქმედობის ასაცდენად კრებამ დაადგინა, რომ ადგილობრივად დამზადებული გრენა იქმნას 1, 5, 10 და 15 მისხლიანი კოლოფებში ჩაყრილი; 6) უსათუოდ შემოღებული იქმნას სავალდებულო შემოწმება აბრეშუმის გრენისა როგორც ადგილობრივად დამზადებულისა, ისე უცხოეთიდან შემოტანილისა. 7) შესამოწმებელი ქირა გადახდეს უცხოეთიდან შემოტინილ გრენას მისხალზე 2 კ. და ადგილილობრივი გრენაზე კი მისხალზე 1 კ.; ამ გადაწყვეტილებას ზოგიერთი აკულისელი გრენიორები არ დაეთანხმნენ და ცალკე მოხსენება შემოიტანეს. რომელშიაც თხოულობენ დაედვას უცხოეთიდან შემოტანილ გრენას 2 კ. მაგივრად—6—7 კ., რათა ცოტა უფრო გაძვირდეს უცხოეთიდან შემოტანილი გრენა, რომელიც ისყიდება თითქმის ჩალის ფასად და ადგილობრივად დამზადებული გრენი ვერ უწევს ფასებში კონკურენციას. ამ აზრს წინაღუდგნენ თითქმის ყველა დამსწრე სპეციალისტებმა და წარმოსთქვეს ის აზრი, რომ უცხოეთიდან შემოტანილი გრენა ამ ჟამად მეაბრეშუმეებს უჯდებათ სამიდან ოთხ მანეთამდე კოლოფი, (6 მის.) და უცხოეთიდან შემოტანილი გრენის ფასების აწევა სრულებით არ არის სასურველი, რადგანაც ამნაირი ფასების აწევა გამოიწვევს მხოლოდ მეაბრეშუმეთა ნივთიერს ზარალს და სხვა.

---

# დეპეშები

(„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“).

6 მარტი

**პეტერბურგი.** 5 მარტს დიდი მთავარი სერგი ალექსანდრეს ძე წავიდა საზღვარ გარეთ.

**ვიქტორია-ვესტი.** აქ მოვიდა ქალაქ ფოსბერგის ფოსტმეისტერი. ფოსბერგის საფოსტო კანტორა დაუჭერიათ ბურებს და აჯანყებულთ. ვიქტორია-ვესტისა და ფოსბერგის შუა ტელეგრაფის მავთულები დაწყვეტილია. ყოველ დღე მოდიან აქ გამოქცეულნი კენგარდტიდან, ფრეისბურგიდან და სხვა უკმაყოფილო ოლქებიდან. ხმა არის, რომ მალე ბურების ჯარი მოვა.

**ლონდონი.** ბურების ბანაკიდან გლენკოსთან 2 მარტს იუწყებიან, რომ ბაგარსის მთებზე ბურებს აუშენებიათ ახალი სიმაგრეები და პოზიცია მათის წყალობით მიუვალი შეიქმნაო.

**კოპენჰაგენი.** ტოლსტოის დრამის „სიბნელეს ძალას“ წარდგენამ სამეფო თეატრში კარგად ჩაიარა.

**როსტოვი-დონზე.** მდინარე დონი აქსაიმდე გაიწმინდა ყინულისაგან.

**რეველი.** მოვიდა გემი „ერმაკი“

**ეკატერინოსლავი.** დნეპრი ყინულისაგან გაიწმინდა.

**პრეტორია.** ოფიციალურად გამოცხადებულია, რომ მეფკინგის განთავისუფლების ამბავი ტყუილია.

მოდდერ-რივერიდან 2 მარტს მოსულმა ბურების ჯართან მყოფმა სამხედრო აგენტმა კაპიტანმა რეიხმანმა გამოაცხადა, რომ ტყუილია ცნობა, ვითომც ჰოლანდიის სამხედრო აგენტი ტომპსონი დაჭრილი იყოს. საფრანგეთის სამხედრო აგენტი კი მსუბუქად არის დაჭრილიო.

**კაპშტადტი.** დატყვევებულ ბურების წმ. ელენეს კუნძულზე გაგზავნა გადაიდვა, რადგანაც შვიდი მათგანი ავად გახდა. გაზეთების სიტყვით, ტრანსვაალის ჯარები გაგზავნილ იქმნებიან წმიდა ელენეს კუნძულზედ, ხოლო ორანჟეს რესპუბლიკისა, განსაკუთრებულ განკარგულებამდე, დატოვებულ იქმნებიან სიმონსტაუნში. ტრანსვაალელ და ორანჟელ ბურებს შორის ისეთი განხეთქილება ჰსუფევს, რომ მიღებულ იქმნა ზომები უწესოების მოხდენის ასაცდენად.

**კაპშტადტი.** ცხენოსანთა რაზმი, რომელიც კიმბერლეიდან გამოვიდა მეფკინგის განსათავისუფლებლად, მივიდა უარენტონში.

**ბერლინი.** ლონდონიდან ატყობინებენ „ბერლინერ ნევესტე ნახრიხტენ“-ს, რომ არსებობს პროექტი საფრანგეთისაგან მადაგასკარის დათმობისა; სამაგიეროთ საფრანგეთს ეძლევა ნება დაიპყროს მაროკკო. უმთავრესი გასაჭირი შეთანხმებისა იმაშია, რომ ინგლისი თხოულობს, რომ სეუტი მის მფლობელობაში გადეიდეს.

**პრეტორია.** ტრანსვაალის სამხედრო ცნობათა ბიუროს უფროსი იტყობინება, რომ მოკავშირე რესპუბლიკებს კიმბერლეის და ლედი-სმიტის განთავისუფლებამდე მოუკლეს 677 და დაუჭრეს 2129. სხვა-და-სხვა უბედურ შემთხვევით უმსხვერპლია 24 კაცი მოკლული და 171 დაჭრილი. ავამყოფობისაგან გარდაიცვალნენ 99, განთავისუფლდნენ—61, რჩენაზე არიან—1251. სულ, მაშასადამე, დანაკლისი უდრის 4351-ს.

**ლორენცო-მარკეზი.** 5 მარტს, დეპეშით იუწყებიან მეფკინგიდან, რომ ინგლისის ჯარი კარგ მდგომარეობაში არისო.

**ბლუმფონტეინი.** 5 მარტს 800 ორანჟელი ბური დაემორჩილა გენერალ პოლკერსს.

**ლონდონი.** რობერტსი 5 მარტს დეპეშით იტყობინება: „ბეუშინ მოვიდა აქ გვარდიის ბრიგადა ნორვალსპონტიდან. უმეტესი ნაწილი ბურგერებისა იარაღსა ჰყრის. ზოგიერთ ოლქებიდან გამოქცეულნი მოდიან. ბელმონტში ჩვენ ჩაგვივარდა ხელში ერთი მიტრა-

ლიეზა და ერთი ექვს-გირვანქიანი ზარბაზანი. დანარჩენი ათ გირვანქიანი ზარბაზნები წაიღო კოლსბერგის უფროსმა ოფიცერმა. კავალერიის ბრიგადა წავიდა ტაბანკუში მცხოვრებთა დასამშვიდებლად, და ჩემ მიერ გამოცემულ პროკლამაციის დასარიგებლად, რადგანაც პროკლამაციის მსურველნი ბევრნი აღმოჩნდნენ. ხვალინდელ დღიდან იწყება წესიერი მიმოსვლა მატარებლებისა ბლუმფონტენსა და კაპის შუა. მეტუენის ჯარები მოვიდნენ 4 მარტს. ეს ჯარები დროზე მოვიდნენ და არ დაანებეს მტერს ხიდის დანგრევა და მდ. ვაალზე გასავალი ფონის დაჭერა“.

დრ. რედ. **ალ. ჭყონია**

# გამოსადეგი ცნობანი

## საკალენდრო ცნობები

**სამშაბათი,** 7 მარტი; ახალი სტილით 20 მარტი. წლის დასრულებამდე დარჩა 299 დღე. მთვარის მე-20 დღე. დიდი მარხვის მეთექვსმეტე დღე. ხსენება წმ. მოწამისა ეფრემისა, ვასილისა ევგენისა და ღირსისა პავლესი-

**ოთხშაბათი,** 8 მარტი; ახალი სტილით 21 მარტი. წლის დასრულებამდე დარჩა 298 დღე. მთვარის მე-21 დღე. დიდი მარხვის მეჩვიდმეტე დღე. ხსენება წმ. თეოფილაქტესი აღმსარებელისა და მოწ. თეოდორიტესი, ღირსისა დომენტისა და სხვათა.

შემდეგი უქმი—25 მარტს—ხარება.

---

## ნ ი ხ რ ი

| | | | |
|---|---|---|---|
| ხორცი მროხისა | 1 გ. | —11 | გ. |
| სუკი . . . . . | 1 » | —15 | გ. |
| » ცხვრისა . | » » | —11 | გ. |
| » კამეჩისა. . | » » | — 5 | გ. |
| » ღორისა. . | » » | — 8 | გ. |
| » ღორის ბარკალი სალორეთი . | 1 » | —10 | გ. |

(მროხისა და ცხვრის ხორცს იის ფერი ბეჭედი ადევს, კამეჩს—მწვანე, ღორს—დამღა).

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| პური ფურნისა | I ხარ. | 1 გ. | 5 | გ. |
| » » | II » | » » | $3^1/_2$ | » |
| » » | III » | » » | 3 | » |
| იგივე თორნისა | I » | » » | 5 | » |
| » » | II » | » » | 4 | » |
| » » | III » | » » | $3^1/_2$ | » |
| ლავაში ჯკ. მამ. | I » | » » | 6 | » |
| » » | II » | » » | 4 | » |

---

## ტფილისის ბაზრები:

| გაიყიდა მეიდნებზე: | | | ვოკზალზე | |
|---|---|---|---|---|
| ხორბალი საუკ. ფუთი. | მ. | კ. | მ. | კ. |
| | 1 | 1 30 | 1 | 20 |
| ხორ. წითელი. . . | 1 | 1 15 | — | |
| ქერი . . . . . . | 1 | — 88 | — | 85 |
| სიმინდი . . . . . | 1 | — 70 | — | — |
| ფქვილი სოფლისა . | 1 | 1 20 | — | — |
| » უფრო მდარე. | 1 | 1 10 | — | — |
| კომბოსტო. . . . | 1 | — 60 | — | — |
| კარტოფილი. . . | 1 | — 60 | — | — |
| ხახვი . . . . | 1 | — 50 | — | — |
| თივა . . . . . | 1 | — 60 | — | — |
| ბზე . . . . . | 1 | — 28 | — | — |

შეშა რცხილისა 1 სრული საჟ. საწყობებში 38 მ., შეშა ნარევი 36 მ. ცხვარი თუშისა 3 მ. 50 კ.-დან 5-მდე, ცხვარი თათრული 3 მ. 80 კაპეიკიდან 4 მ. 60 კ.-მდე, ღორი ადგილობრივი ჯიშისა 8.-დამ 8 მ. 50 კ.-მდე, მროხა და ხარი აქაური საკლავი 30 მ.-დან 45 მ.-მდე, ხარი შესაბმელი,—კამეჩი—მ. -მდე, კამეჩი საკლავი 26 მ.-დამ 34 მან., შესაბმელი— მ.

---

## რუსეთის ბაზრები:

ფქვილი როსტოვში.

| ხარისხი. | | ხარისხი. | |
|---|---|---|---|
| № 0—9 მ. 25 კ. | | № 4—7 » 25 » | |
| № 1—8 » 50 » | | № 5—7 » — » | |
| № 2—8 » — » | | № 6—6 » 75 » | |
| № 3—7 » 50 » | | № 7—6 » 25 » | |

სიმინდი (ნოვოროსსიაში) 1 ფ. 54 კ. 41 კ. ქერი როსტოვში 66 კ. 62 კ.-მდე ნოვოროსსიაში 68 კ. 69 კაპიკამდე.

მოტანა ტფილისამდე 1 ფ. 87 კ. შაქარი იქვე ფუთი 5 მან. 70 კ. „ფშხვნილი „ 4 „ 80 „

მატყლი ისპანიური, თეთრი ფ. 10 მ.—11 მ. 85 კ., მატყლი 10% შავ-ნარევი — ადგილობრივი—3 მ. 50 კ.—4 მ. 10 კ., გარეცხილი 8 მ. 37 კ. ისპანიის ჯიშის ცხვრის ტყავი თითო 2 მ. 60 კ.-მდე.

---

## საავადმყოფოები

**ქალაქის სახელმწიფო საავადმყოფო,** მიხეილის ქუჩა, სახელმწიფო სახლი. ფასი საერთო ოთახში —12 მ. თვ. ცალკე ოთახში—60 მ. თვ.

**ქალაქის სამკურნალო.** მუხრანის ქუჩა, სახლი ტერ-ოსიფოვისა. რჩევა 30 კაპ. ღარიბთათვის რჩევაცა და წამლობაც უფასოა. სამკურნალოს გამგე ექიმი გ. თარხანოვი.

**ქალაქის სამკურნალოს განყოფილებანი: ავლაბრისა,** კახეთის ქუჩა, სახლი ტერტეროვისა. გამგე ექიმი მირაქოვი.

**კუკიისა,** ალექსანდროვის ქუჩა, სახლი მელქუმოვისა. ექიმი ნ. კასუმოვი.

**ხარფუხისა,** გორონცოვის ქუჩა, სახლი იედიგაროვისა. ექიმი ტერასატუროვი.

**თვალების სამკურნალო,** ელისაბედის ქუჩა, სახლი ჩითახოვისა. ავადმყოფებს უფასოდ აძლევენ რჩევას. გამგე ექიმი გ. ტარსაიძე.

**ქალაქის საავადმყოფო სულით-ავადმყოფთათვის.** უფასო—იმყოფება: კოჯრის ქუჩაზე, ბარონესა ტიზენგაუზენისა და ეჯუბოვის სახლში. ექიმი მ. გედევანიშვილი.

სიფილისით ავადმყოფ ქალთათვის საავადმყოფო იმყოფება ავლაბარში, პეტრე-პავლეს ეკლესიასთან. 25 ადგილი უფასოა, 15 ადგილი—ფასიანი. თვეში ღირს 12 მან. ექიმი ისტამანოვი.

გადამდებ სენით ავადმყოფთათვის უფასო საავადმყოფო. გამგე ექიმი გულულიანცი.

ქალაქის უფასო ღამე თავ-შესაფარი სახლები:

1) ვორონცოვის ქუჩა, მექვსე ნაწილი, სახლი მელიქიანცისა.

დიდუბეში, სახლი გოლდლიუსტისა.

---

## მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა.

**სახალხო მატარებელი № 1** ბაქოდან ტფილისში გამოდის 4 ს. 15 წ. დღ.; ტფილისში მოდის 8 ს. 40 წ. დილ.; ტფილისიდან ბათუმში გადის 9 ს. 10 წ. დილ. ბათუმში მიდის 8 ს. 32 წ. საღ.

საფოსტო მატარებელი № 3 ბაქოდან ტფილისში გამოდის ღამის 12 ს. 20 წ., ტფილისში მოდა საღამოს 6 ს. 28 წ.; ტფილისიდან ბათუმში გადის საღამ. 7 ს. 32 წუთ., ბათუმში მიდის დილის 8 ს. 12 წ.

**სახალხო მატარებელი № 2** ბათუმიდან ტფილისში გამოდის 9 ს. 15 წუთ. დილ., ტფილისში მოდის საღამოს 8 ს. 35 წ.; ტფილისიდან ბაქოში გადის საღ. 9 ს. 23 წ., ბაქოში მიდის 1 ს. 04 წ. დღის.

**საფოსტო მატარებელი № 4** ბათუმიდან თბილისში გამოდის 9 ს. 05 წ. საღ., თბილისში მოდის 9. 45 წ. დილით.; თბილისიდან ბაქოში გადის დილის 11 ს. 32 წ., ბაქოში მიდის დილის 6 ს. 15 წ.

მატარებელი № 5 ტფილისიდან ბორჯომში გადის დღისით 3 ს. 25 წ., ბორჯომში მიდის 8 ს. 23 წ. საღ.

მატარებელი № 6 ბორჯომიდან ტფილისში გამოდის 8 ს. 20 წ. დილ., თბილისში მოდის დღისით 12 ს. 55 წ.

სამტრედიიდან ფოთში სამი სახალხო მატარებელი გადის დღეში: პირველი—ღამის 5 ს. 02 წ., მეორე—დღის 12 ს. 40 წ., მესამე—საღამოს 7 საათ. 30 წ., ფოთში მიდის—პირველი 7 საათ. 12 წ. დილით, მეორე—2 ს. 49 წ. დღ. და მესამე —9 ს. 49 წ. საღ.

**ფოთიდან** სამტრედიაში გადის სამი მატარებელი: პირველი—ღამის 1 ს. 11 წ., მეორე—დილის 6 ს. 20 წ., მესამე—საღ. 9 ს. 48 წ.; სამტრედიაში მიდის პირველი 3 ს 20 წ. ღამის, მეორე—8 ს. 42 წ. დილის, მესამე—ღამის 11 ს. 57 წ.

ფოთიდან რიონში გადის დილის 6 ს. 20 წ., რიონში ფოთიდან მიდის დილის 6 ს. 45 წ.

**რიონიდგან** ქუთაისში გადის შვიდი მატარებელი: ღამის 3 ს. 55 წ., და 5 ს. 30 წ. დღის 1 ს. 30 და 4 ს. 50 წ., საღამოს 6 ს. 30 წ. დილის 8 ს. 45 წ. და 10 საათ.

**ქუთაისიდგან** რიონში მიდის ღამის 12 ს. 55 წ., და 4 ს. 40 წ. დღისით 12 ს. 30 წ., 3 ს. 50 წ., და 5 ს. 30 წ.,

**შორაპნიდან** ჭიათურაში გადის დღეში ორი სახალხო საქონლის მატარებელი. პირველი გადის დილის 6 ს. 50 წ., მეორე 5 ს. 15 წ. დღისით.

**ჭიათურაში** მიდის პირველი—დილის 9 ს. 42 წ. მეორე—საღამოს 8 ს. 07 წ.,

**ჭიათურიდგან** შორაპანში გადის ორი მატარებელი: პირველი 1 სე 40 წ. დღისა, მეორე—საღამოს 11 ს. 15 წ. შორაპანში მიდის—პირველი დღისით 4 ს. 31 წ. მეორე—ღამის 2 ს. 05 წ.

---

**მიხაილოვიდგან** სურამში გადის დღეში ოთხი მატარებელი. პირველი ღამის 12 ს. 03 წ., მეორე დილის 6 ს. 25 წ., მესამე,—დღის 1 ს. 5 წ. და მეოთხე საღამოს 7 ს. 18 წ.

სურამში ყველა ეს მატარებლები 12 წ. განმავლობაში მიდიან.

**სურამიდგან** მიხაილოვში გადის ოთხი მატარებელი. პირველი ღამის 5 ს. 08 წ., მეორე დილის 11 ს. 48 წ., მესამე დღის 4 ს. 40 წ., მეოთხე—საღამოს 10 ს. 50 წ.

მიხაილოვში 12 წ. განმავლობაში მიდიან.

**ქუთაისიდგან** ტყიბულში გადის ღამის 6 ს. 50 წ. ტყიბულში ჩადის 10 ს. დილისა.

**ტყიბულიდგან** ქუთაისში გადის დღისით 1 ს. 30 წ., ქუთაისში მოდის 6 ს. 30 წ. დღისით.

**ომნიბუსების** მიმოსვლა თბილისისა და ვლადიკავკასის შორის დაწყებული 1 ნოემბრს 1899 წ. ვიდრე 1 მაისამდის 1900 წ.

**თბილისიდან** ხუთსაჯდომიანი კარეტა გადის დილის 8 საათზე (მლეთში ღამის თევით) და ვლადიკავკასში ჩადის საღამოს 7 ს. 30 წ. და ექვს-საჯდომიანი ომნიბუსი გადის ნაშუადღევის 3 საათზე და ვლადიკავკასში ჩადის მეორე დღეს საღამოს 5 ს. 35 წ.

**ვლადიკავკასიდგან:** ხუთ საჯდომიანი კარეტა გამოდის დილის 8 საათზე (ღამის თევით მლეთში) და ჩამოდის ტფილისში მეორე დღეს საღამოს 6 ს. 40 წ., ექვს-საჯდომიანი ომნიბუსი გამოდის საღამოს 8 საათზე და ტფილისში ჩამოდის მეორე დღეს საღამოს 9 ს. 30 წ.

---

# განცხადებანი

**ტფილისის ქალაქის გამგეობა ამით აცხადებს** რომ მის, გამგეობის, თანადასწრებით 20 მარტს, შუადღის 12 საათზე, დანიშნულია საჯარო ვაჭრობა ბაზრის ქუჩის ბოლო-

...ში მყოფი ოთხი დუქნის იჯარით გაცემაზე. ეს დუქნები იმყოფება ალექსანდრეს ბაღის სამხრეთ ნაწილში. ვისაც სურს ვაჭრობა, შეუძლიან ვაჭრობის პირობები გასინჯოს ტფილისის გამგეობის მეოთხე განყოფილებაში ყოველ დღე, კვირა უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან შუადღის 2 საათამდე, (ნ. 3—2)

---

ვისაც სურს **ფოტოგრაფიული სურათები** (თავისი ან მწერალთა) იქონიოს ფაიფურზე, ზაპონკებზე ან სხვა სამკაულ საგნებზე, ან ხელსახოცებზე და წიგნებში ჩასადებ ლენტებზე, შეუძლია მიჰმართოს **ალექსანდრა როდიონოვისას**, ტფილისში, ელისაბედის ქუჩაზე, № 54. ნ. 4—3

---

დაიბეჭდა და ისყიდება

„ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ წიგნის მაღაზიაში ახალი საყმაწვილო სურათებიანი წიგნი ანდერსენისა:

# დედა

თარგმნილი თ. სახოკიას-მიერ.

გამოცემა

**სარინო თურქიასი**

ფასი 8 კაპ.

---

წიგნების გამომცემელ ქართველთა ამხანაგობის

## გამგეობისაგან.

წერილებით, თუ სიტყვით მრავალჯერ გამოცხადებულის საზოგადოების სურვილის თანხმად ამხანაგობის გამგეობამ მოსახერხებლად სცნო, რამდენადაც კი შეიძლება, ფასი დააკლოს მის მიერ გამოცემულ წიგნებს.

**წიგნები გაიყიდება შემდეგ ფასად:**

| | მან. კაპ. |
|---|---|
| თხზულებანი ალ. ყაზბეგისა ავტორის სურათით და ფაქსიმილეთი ოთხი ტომი, თითო ტომი ცალკე | 1— » |
| თხზ. ი. დავითაშვილისა სურათით, ბიოგრაფიით და ფაქსიმილეთი | «—50 |
| დაბადება და აღზრდა ერეკლე ბატონიშვილისა ლეგენდა-პოემა ბაჩანასი | «—10 |
| ბნელი, მოთხრობა ნ. მელანიასი (პაკედონიძე) | «—20 |
| თხზულებანი ი. ჭავჭავაძისა, ავტორის სურათით და ფაქსიმილეთი: | |
| I ტომი | «—70 |
| იგივე II ტომი | «—60 |
| იგივე III ტომი | «—60 |
| იგივე IV ტომი (ორ წიგნად) | «—80 |
| სოფლის კუნწულა დ. მაჩხანელისა | «—10 |
| თხზულებანი აკაკისა I ტომი | «—60 |
| იგივე II ტომი | «—60 |
| თხზულებანი რ. ერისთავისა I ტომი | «—60 |
| სიბრძნე-სიცრუვე საბა-ორბელიანისა | «—40 |
| საქართველო და მისი წარსული დრო პოტოსი | «—20 |
| აივენგო ვოლტერ სკოტისა | «—50 |
| აღა-მაჰმად-ხანის შემოსვლა ტფილისში | «—15 |
| გაბრიელ ეპისკოპოსის ბიოგრაფია სურათით | «—15 |
| სამზარეულო ქართულის და ევროპიულის საჭმელებისა | 1—20 |
| დვინის დაყენება პროფესორის გ. პეტრიაშვილისა | 1—50 |
| რძე მისივე | 1—50 |
| სიბრძე ზალავარისა | «—30 |
| ცეცხლითა და მახვილითა | «—80 |
| დასტურ-ლამა | «—10 |

ვინც გაიწერს წიგნებს, ფოსტის ხარჯი დაედება წონის მიხედვით გაგზავნის დროს (наложеннымъ платежомъ) წიგნების ფასი 25% წინადვე უნდა იქმნას გაგზავნილი.

წიგნები ამხანაგობის კიოსკში იყიდება, ქ. ტფილისში, ლორის-მელიქოვის ქუჩაზე.

ქალაქ გარეშე მცხოვრებთ ფული უნდა გამოგზავნონ შემდეგის ადრესით: Тифлисъ, Грузинское Издательское Товарищество.

---

საუკეთესოდ მოწყობილი

# სტამბა

წიგნების გამომც. ქართველთა ამხ—ბისა

იღებს ყოველგვარ

## სასტამბო საქმეებს

სტამბა იმყოფება ვანქის დიდ ქუჩაზე, მარტიროსოვის სახლში

---

## ისტორიული ნარკვევი

ანუ

**ქრისტომატია საქართველოს ისტორიისათვის**

შედგენილი

ალექსანდრე ხახანასაგან

მოწონებულია კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველისაგან საშუალო სასწავლებლების ბიბლიოთეკებისათვის

ფასი 1 მ. 50 კაპ.

ისყიდება ყველა ქართულ წიგნის მაღაზიებში.

---

დაიბეჭდა და ისყიდება

წერა-კითხვის საზოგადოების მაღაზიაში

ახალი ქართული წიგნი

## სიტყვიერების თეორია

სალიტერატურო ნიმუშების კრებული ანუ ქრისტომატია

წიგნი შედგენილია

ალავერდის ეპისკოპოსის კირიონისა და გრ. ყიფშიძის-მიერ

ფასი 1 მანეთი

ვინც ათს ცალზე ნაკლებს არ იყიდის, წიგნი დაეთმობა 80 კ, ქალაქ გარეშე მცხოვრებთ ფას-დადებით შეუძლიანთ დაიბარონ ამ ადრესით: Тифлисъ. Книжный магазинъ Общества грамотности.

---

ქართველთა ამხანაგობის, წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების და კ. თავართქილაძის წიგნის მაღაზიებში ისყიდება

## გლეხი-კაცის ისტორია,

ერკმან-შატრიანისა:

**სრული ისტორია საფრანგეთის დიდი რევოლიუციისა**

| | | | |
|---|---|---|---|
| ნაწილი | I | საერო კრება | 60 კ. |
| | | იგივე კარგ ქაღალდზე | 75 „ |
| ნაწილი | II | სამშობლოს განსაცდელი | 60 „ |
| | | იგივე კარგ ქაღალდზე | 75 „ |
| ნაწილი | III | წელიწადი პირველი რესპუბლიკისა | 1 მ. 20 „ |
| და ნაწილი | IV | მამულიშვილი ბონაპარტი | |
| | | იგივე კარგ ქაღალდზე | 1 მ. 50 „ |
| | | ბრწყალები, დრამა 3 მოქმ. პოლ-ერვიესი | 30 „ |
| | | ივდითი, ტრაგედია 5 მოქმ. ჯიაკომეტისა | 30 „ |

**პირველი ნაწილი ცალკე აღარ იყიდება**

გამომც. ზ. ჭიჭინაძე.